პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ხუთშაბათი, 10 ივნისი, 1943 წ. | საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ჟოველკვირეული ორგანო | № 14 (290). ფასი 50 კაპ.

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒ Ი. Ბ. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲠᲔᲘᲢᲔᲠᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲖᲔ

ინგლისის რეიტერის სააგენტოს მოსკოველმა კორესპონდენტმა ბ-ნმა კინგმა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ი. ბ. სტალინს მიმართა წერილით, რომელშიც სთხოვდა ეპასუხნა ინგლისის საზოგადოებრიობისათვის საინტერესო კითხვაზე.

ამხ. ი. ბ. სტალინმა შემდეგი წერილით უპასუხა ბ-ნ კინგს:

ბატონო კინგ!

მივიღე თქვენი თხოვნა — გიპასუხოთ კითხვაზე, რომელიც კომუნისტური ინტერნაციონალის დაშლას ეხება. გიგზავნით ჩემს პასუხს.

ᲙᲘᲗᲮᲕᲐ. „ბრიტანეთის კომუნისტრანის კომინტერნის ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების გამო მეტად კეთილსასურველია. როგორია საბჭოთა თვალსაზრისი ამ საკითხზე და რა გავლენას იქონიებს იგი ამ თვალსაზრისით მომავალ საერთაშორისო ურთიერთობაზე?“.

ᲞᲐᲡᲣᲮᲘ. კომუნისტური ინტერნაციონალის დაშლა სწორი და დროულია, რადგან აადვილებს საერთო მტრის — ჰიტლერიზმის წინააღმდეგ ყველა თავისუფლებისმოყვარე ერის საერთო შეტევის ორგანიზაციას.

კომუნისტური ინტერნაციონალის დაშლა სწორია, რადგან:

ა) იგი აუშკარავებს ჰიტლერელთა სიცრუეს იმის შესახებ, რომ „მოსკოვს“ ვითომ განზრახვა ჰქონდეს ჩაერიოს სხვა სახელმწიფოთა ცხოვრებაში და „მოახდინოს მათი ბოლშევიზაცია“. ამ სიცრუეს ამიერიდან ბოლო ეღება.

ბ) იგი აუშკარავებს მუშათა მოძრაობაში კომუნიზმის მოწინააღმდეგეთა ცილისწამებას იმის შესახებ, რომ სხვადასხვა ქვეყნების კომუნისტური პარტიები ვითომ მოქმედებენ არა თავიანთი ხალხის ინტერესებისათვის, არამედ გარედან მიღებული ბრძანებით. ამ ცილისწამებასაც ამიერიდან ბოლო ეღება.

გ) იგი აადვილებს თავისუფლებისმოყვარე ქვეყნების პატრიოტების მუშაობას — გააერთიანონ თავიანთი ქვეყნის პროგრესიული ძალები, დამოუკიდებლად მათი პარტიულობისა და რელიგიური რწმენისა, ერთიან ნაციონალურ-განმათავისუფლებელ ბანაკად, — ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაჩაღებისათვის.

დ) იგი აადვილებს ყველა ქვეყნის პატრიოტების მუშაობას — გააერთიანონ ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხი ერთიან საერთაშორისო ბანაკად ჰიტლერიზმის მსოფლიო ბატონობის მუქარის წინააღმდეგ ბრძოლისათვის და ამით გზას უწმენდს მომავალში ხალხთა თანამეგობრობის ორგანიზაციას მათი თანასწორუფლებიანობის საფუძველზე.

ვფიქრობ, რომ ყველა ეს გარემოება, ერთად აღებული, გამოიწვევს მოკავშირეთა და სხვა გაერთიანებულ ერთა ერთიანი ფრონტის შემდგომ განმტკიცებას მათს ბრძოლაში ჰიტლერულ ტირანიაზე გასამარჯვებლად.

მიმაჩნია, რომ კომუნისტური ინტერნაციონალის დაშლა სავსებით დროულია, რადგან სწორედ ახლა, როცა ფაშისტი მხეცი თავის უკანასკნელ ძალებს ძაბავს,—აუცილებელია მოეწყოს თავისუფლებისმოყვარე ქვეყნების საერთო შეტევა იმისათვის, რომ საბოლოოდ მოვსპოთ ეს მხეცი და ვიხსნათ ხალხები ფაშისტური ჩაგვრისაგან.

პატივისცემით Ი. სტალინი

1943 წ. 28 მაისი.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲔᲡᲮᲘ—ᲩᲕᲔᲜᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲡᲔᲡᲮᲘᲐ

ᲛᲘᲢᲘᲜᲒᲘ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ.

...დიდის აღფრთოვანებით და წარმატებით ჩატარებულ იქნა მწერალთა კავშირში ხელის მოწერა მეორე საერთაშორისო სამხედრო სესხზე.

5 ივნისს მწერალთა კლუბში მოწვეულ მიტინგზე, რომელსაც დაესწრნენ მწერლები, მწერალთა კავშირის, „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციის, საუდისა და მწერალთა კლუბის თანამშრომლები სამხედრო სესხის მნიშვნელობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის პ/მგ მდივანი ...ალი აბაშიძე.

მიტინგზე გამოსული ამხანაგები ერთსულოვნად მიესალმნენ მთავრობის გადაწყვეტილებას მეორე სახელმწიფო სამხედრო სესხის გამოშვების შესახებ. ყოველმა მათგანმა თავისი პატრიოტული გრძნობა დედა-სამშობლოსადმი გამოხატა საგრძნობ თანხაზე ხელის მოწერით.

სანდრო ეულმა სესხზე ხელი მოაწერა 2.000 მანეთის რაოდენობით, ირაკლი აბაშიძემ—2.000 მან., შალვა რადიანმა — 4.350 მან., კონსტანტინე გამსახურდიამ — 1.600 მან. თვენახევრის ხელფასზე ხელი მოაწერეს ვანო წულუკიძემ, ნიკოლოზ ჩაჩავამ, ვლადიმერ სირბილაძემ და სხვ.

მწერალთა კავშირსა და ლიტერატურულ-ინიზაციებში სესხზე ხელისმოწერა დასრულდა იმავე დღეს და მიაღწია 18.190 მანეთს.

„ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲘ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ“

...ზარია ვოსტოკამ“ რუსულ ენაზე ...ოსცა წიგნი „ქართველი ხალხის ...მირი შვილები“.

წიგნში მოთავსებულია „ქართველ ...ბრძოლთა წერილი საქართველოს ...შრომელებისადმი“, „პრავდის“ 16 ...ისის მოწინავე — „სსრ კავშირის ...ალხთა წმინდა ძმობა“, საბჭოთა კავ...ირის გმირის მ. გახოკიძის წერილი— „...ამშობლისათვის! სტალინისათვის!“, ...ალ. ტაბიძის ლექსი—„გმირს მიხვილ ...ოკიძეს“, წერილი — „სევასტოპო...ის დაცვის გმირები“, კ. ლორთქიფა...ისა და ი. მოსაშვილის ნარკვევი— „...ერტილერისტი. პირმისაშვილი“, კ. ...ორთქიფანიძის „ფიცი“, წერილი ...საბჭოთა კავშირის გმირი ა. გეგეში...“, ი. მოსაშვილის ლექსი—„არკადი ...ეგეშიძე“, წერილი — „სტალინური ...ციის მამაცი შევარდენი“, გ. ლეო...ძის ლექსი — „სტალინურ შევარ...ენს“, წერილი — „აფხაზი ხალხის ...ირი შვილი“, დ. გულიას ლექსი — „...ვენი კავკასია“, წერილი — „საბჭო...კავშირის გმირი პოდპოლკოვნიკი ...ოიასამიძე“, გ. ლეონიძის ლექსი— „...ართველოს შვილებს“, წერილი — „...ფრინავი—გამანადგურებელი სერგეი ...ბლოვი“, ს. ჩიქოვანის ლექსი — „...ალხთა ძმობა“, ს. ჩიქოვანის ნარკვევ...— „ქართველი მებრძოლები“, წერი...— „საბჭოთა კავშირის გმირი ს. ...ოლაძე“, ი. მოლჩანოვის ლექსი — „...ავკასიას“, წერილები — „გამოჩენი...ი მხედართ—უფროსი“, „გვარდიუ...ი დივიზიის მეთაური“, მ. ანდრია...ის ნარკვევი — „სამამულო ომის ...ირები“, წერილი — „საბჭოთა მიწ...ოს ბრძოლაში“, გ. ლეონიძის წე...ილი — „წინაპართა ძახილი“, საბ...ოთა კავშირის გმირის მ. გახოკიძის ...ერილი — „საქართველოს შვილები ...ომში“, ვ. სობკოს ნარკვევი—„მთის ...ერვალებზე“, კ. ლორთქიფანიძის ნარკვევი — „ლეიტენანტ რობაქიძის გმირობა“, ი. მაკარენკოს ნარკვევი — „თოვლიან ულელტეხილზე“, ა. გურგენიძის ნარკვევი — „სტალინის სახელით“, პ. პავლენკოს ნარკვევი—„პეტრიაშვილის გმირული საქციელი“, ს. ჩიქოვანის ლექსი — „კრემლის გარსკვლავები“, წერილები — „სტალინური შევარდენი ალექსანდრე წურწუმია“, „ბატალიონის კომისარი გ. ჩარგეიშვილი“, ჯეკ ალტაუზენის ლექსი—„სამღერა კომისარ ჩარგეიშვილზე“, პ. პავლენკოს ნარკვევი—„გრიგოლ სულუხია“, ნ. ნოვიცკის ნარკვევი—„მეზენიტეების სახელოვანი იუბილე“, წერილი—„ორდენოსანი კაპიტანი ბ. სტეფრუა“, ს. რიჟინაშვილის ნარკვევი — „მამა და შვილი“, გ. დედოვის ნარკვევი — „სამშობლოს ქალიშვილი პ. ნატროშვილი“, წერილი — „სომეტკაცე“, ი. აბაშიძის ლექსი — „კაპიტანი ბუხაიძე“, ს. რიჟინაშვილის ნარკვევი—„მაიორი რ. გაბარაევი“, წერილები — „დუელი“, „მეტყვეამფრქვევე მჭედლიშვილი“, „მფრინავი სერგეი ცხურბაევი“, „ონისიმე გოთვაძე“, „სევასტოპოლის დამცველი“, „გვარდიის უფროსი ლეიტენანტი ა. კოტარინა“, „ორდენოსანი მეთაური დ. პაპუნაშვილი“, „მსროლელი—რადისტი დ. ჩხიკვიშვილი“, „მთის ბრძოლებში“, „გულადი მეომარი“, „საქართველოს კომკავშირელთა საბრძოლო გმირობანი“, „წითელარმიელი ვლადიმერ გეგელაშვილი“, „სანიტარი გიორგი სეთურიძე“, ა. მაშაშვილის ლექსი—„მყინვარი“, წერილები — „მიშაკოვი და შალამბერიძე“, „მებრძოლი ჩუბინიძე“, „მთის კანონი“, ი. გრიშაშვილის ლექსი—„საიათნოვას ჭიანური“.

წიგნი გამოცემულია ვ. გრიგორიანის რედაქციით.

წიგნი შეიცავს 127 გვერდს და ღირს 10 მან.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ

3 ივნისს დაიწყო და 5 ივნისს დაამთავრა მუშაობა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პლენუმმა, პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო მწერალთა აქტივმა. პლენუმი გაიხსნა მწერალთა კავშირის პ/მგე ბელი მდივნის ი. აბაშიძის შესავალი სიტყვით: „სამამულო ომის მიმდინარე მომენტი და საბჭოთა მწერლების ამოცანები“. პლენუმმა მოისმინა მოხსენებები ბეს. ჟღენტისა „ქართული მხატვრული პროზა სამამულო ომის დღეებში“ და ი. მოსაშვილისა — „ქართველი მწერლები სამხედრო პრესაში“. ორივე ამ საკითხის გარშემო გაცხოველებული აზრთა გაცვლა-გამოცვლა გაიმართა.

სამამულო ომის მიმდინარე მომენტი და საბჭოთა მწერლების ამოცანები

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის დღევანდელი პლენუმი თავის მუშაობას წარმართავს ქართველი ხალხისადმი ქართველ მებრძოლთა ცხობილი მიმართვის შთამგონებელი ლოზუნგებით. მიმართვა ქართველი ხალხის სასიქადულო შვილებისა, რომლებიც გოლიათური შეუპოვრობით, სიმამაცით და თავგანწირვით იბრძვიან მოძმე ხალხების შვილებთან ერთად ბარენცის ზღვიდან შავ ზღვამდე გადაჭიმული ვეებერთელა ფრონტის ყველა უბანზე და რომლებმაც თავიანთი სისხლით დაამტკიცეს უსაზღვრო ერთგულება საბჭოთა სამშობლოსადმი,—მიმართვა ამ სახელოვანი ქართველი მებრძოლებისა ჩვენი ქვეყნის შრომითი ენტუზიაზმის, მისი შემდგომი აღმავლობის უდიდეს იმპულსად გადაიქცა. ამ მიმართვამ სწორედ ასეთივე როლი უნდა შეასრულოს საბჭოთა მწერლების შემოქმედებითს გაქტიურებაში. ჩვენ გულახდილად უნდა ვაღიაროთ, რომ ქართველი მწერლები თავიანთი შემოქმედებით დიდად ჩამორჩებიან ჩვენს მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში მომუშავე პატრიოტებს. ჩვენი კოლმეურნეები, ჩვენი სამრეწველო საწარმოების მუშები თავიანთი დაძაბული ყოველდღიური მუშაობით ბევრად უფრო მეტს აკეთებენ ფრონტისათვის, ვიდრე ვაკეთებთ ჩვენ ჩვენს კალმით. ჩვენ დიდათ ჩამოვრჩებით ჩვენს რუსს და უკრაინელ თანამოკალმეებსაც, რომლებმაც სამამულო ომის დღეებში გაალიერეს და ახალ საფეხურზე აიყვანეს თავიანთი შემოქმედებითი მუშაობა. რუსი, უკრაინელი, ბელორუსი ამხანაგები ფრონტზე ყოფნასაც ახერხებენ და იმავე დროს ინტენსიურადაც მუშაობენ, სწერენ რა დიდ მაღალმხატვრულ ნაწარმოებებს. ჩვენი რუსი, უკრაინელი და ბელორუსი ამხანაგები გააქტიურდნენ როგორც ჟურნალისტები და პუბლიცისტები. რუსეთის და უკრაინის პოლიტიკური პრესა შეიძლება ითქვას, რომ დღეს მწერლების პუბლიცისტური სტატიებით და მხატვრული ნაწარმოებებით საზრდოობს. რუსულ და უკრაინულ პოლიტიკურ პრესაში მწერლის წონა არასოდეს ისე დიდი არ ყოფილა, როგორც დღეს არის. ჩვენ ვხედავთ, რომ ყველადღიური გაზეთები რეგულიარულად უთმობენ მთელ გვერდებს მწერლების არა მარტო სტატიებს, არამედ მოთხრობებს, რომანებს, პოემებს, პიესებს. არიან რა ესოდენ ნაყოფიერი, ჩვენი რუსი და უკრაინელი ამხანაგები ჰქმნიან მაღალ-მხატვრულ ნაწარმოებებს, სწერენ წიგნებს, რომლებიც უპასუხებენ მებრძოლთა სულისკვეთებას. წიგნებს, რომლებსაც ღრმა ინტერესით კითხულობენ ფრონტზე, ბრძოლის ხაზზე და რომლებსაც არ იშორებენ ბრძოლის უაღრესად დაძაბულ კრიტიკულ მომენტშიაც კი. აშკარათ უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენ ჩამოვრჩით ჩვენს რუსს და უკრაინელ ამხანაგებს.

არავითარი ობიექტური მიზეზი ჩვენი ჩამორჩენის გასამართლებლად არ მოიმოვება. სამამულო ომმა ათასობით წარმოშვა შესანიშნავი ქართველი მებრძოლნი, რომელთაგან ზოგიერთნი ვაკაციურად დაიღუპნენ, ხოლო მრავალნი დღესაც განაგრძობენ ვაკაციურ ბრძოლას სამამულო ომის ფრონტებზე. ჩვენ გვქონდა საშუალება ახლო გავცნობოდით მათ, შეგვესწავლა მათი ბუნება, მათი გმირული სულიერ, რათა მოგვეცა სინტეტიური სახე სამამულო ომის ქართველი გმირისა, სახე, რომელიც გახდებოდა მისაბაძი და საყვარელი ყველა მებრძოლისათვის, ყველა საბჭოთა პატრიოტისათვის. მაგრამ დღემდე ეს ჩვენ ვერ შეგვძლია. სწორედ ასევე ვერ მოვახერხეთ მხატვრულად გვეჩვენებინა ის თავდადებული, დაძაბული მუშაობა, რომელსაც ქართველი ხალხი აწარმოებს ზურგში ფრონტის დახმარებლად, ვერაგ მტერზე გამარჯვების მოსაპოვებლად. ჩვენ საკმაოდ ვერ ვაფასებთ და სათანადო ანგარიშს ვერ ვუწევთ იმ დიდ სიყვარულს და უსაზღვრო ინტერესს, რომელიც არსებობს მხატვრული ლიტერატურისადმი წითელი არმიის მებრძოლებში. როგორც მოწყურებული წყალს, როგორც სუფთა ჰაერს, ისე მოითხოვს და ეძებს ფრონტზე მებრძოლი ქართულ მხატვრულ ნაწარმოებს. ფრონტზე ყოფნისას ზოგიერთი ჩვენგანი ყოფილა იქის მხილველი, თუ როგორ ატარებენ მებრძოლნი უბით ქართველი საბჭოთა პოეტების იმ ლექსებს, რომლებიც გამოხატავენ და ეხმაურებიან მათ პატრიოტულ გაწყობიერებას. ჩვენ უფლება არა გვაქვს ბოლო არ ვიოცოთ ქართულ მწერლობაში ამყამად არსებულ მდგომარეობას. უფლება არა გვაქვს ვცხოვრობდეთ სამამულო ომის ასეთ დაძაბულ ვითარებაში და მტერზე გამარჯვების საქმეს არ მოვახმაროთ მაქსიმუმი ჩვენი ინტელექტუალური და მორალური ძალებისა. ფრონტის დახმარებისა და მომსახურების საქმეში ჩვენს სფეროში ჩვენ უნდა გავუსწოროდეთ ჩვენი ზურგის მოწინავე ადამიანებს, როგორც ყველა საბჭოთა პატრიოტმა, ისე ყოველმა საბჭოთა მწერალმა თავის სახელმძღვანელო პროგრამად უნდა გაიხადოს უმაღლესი მთავარსარდლის, საბჭოთა კავშირის მარშალის ამხანაგ **სტალინის** საპირველმაისო ბრძანება, რომელიც ავალებს მთელ საბჭოთა ხალხს—დაძაბოს მთელი თავისი ძალ-ღონე მიმდინარე ზაფხულის გადამწყვეტი ბრძოლებისათვის, რათა მიაღწიოს გარდატეხას ომის მიმდინარეობაში და შექმნას უექველი წინაპირობა ვერაგი მტრის მოსასპობად და გასანადგურებლად.

საბჭოთა ხალხის ეს დიდი სადღეისო ამოცანა განსაზღვრავს დღევანდელი პლენუმის დანიშნულებას. პლენუმმა უნდა გაამახვილოს მწერალთა „ყურადღება ქართველი საბჭოთა მწერლების შემოქმედებითი გააქტიურებისა და ქართული მხატვრული პროდუქციის ხარისხის ამაღლების საკითხზე. ამ მიზნით პლენუმმა დღის წესრიგში შეიტანა ორი მთავარი საკითხი: ქართული პროზის მდგომარეობა სამამულო ომის პერიოდში და „ქართველი მწერლების მონაწილეობა საფრონტო გაზეთებში“. დღეს, სამამულო ომის პერიოდში, პროზას უფრო მოეთხოვება, ვიდრე სხვა რომელიმე ჟანრს, იყოს უფრო ქმედითი და აქტუალური, რომ საჭიროა გადასვლა დიდ ტილოებზე, იდეურად და მხატვრულად გამართულ პროზაულ ნაწარმოებთა წერაზე, ამავე დროს ჩვენ ვსაძიებ საკითხს, რომ მწერლებმა უფრო სისტემატურად და აქტიურად მიიღონ მონაწილეობა ჩვენს წითელარმიულ საფრონტო გაზეთებში. მწერლები უნდა გახდნენ წითელარმიული პრესის მუდმივი თანამშრომლები და ერთხელ და სამუდამოდ ბოლო უნდა მოეღოს შემთხვევითობას ამ საქმეში. ყოველი საფრონტო გაზეთი უნდა უზრუნველყოთ ჩვენი საუკეთესო მწერლების ნაწარმოებებით, ოლეული ჟანრის მხატვრული პროდუქციით — ლექსებით, მოთხრობებით, ნარკვევებით, პუბლიცისტური წერილებით. ჩვენ ეს შეგვიძლიან და აუცილებლად უნდა გავაკეთოთ კიდეც. ჩვენი მწერლობა, ჩვენი მწერლები უყვარს ხალხს, უყვართ ფრონტის მებრძოლებს, და ეს სიყვარული უნდა გავამართლოთ—მივსცეთ მათ კარგი ლექსები, მოთხრობები, რომანები, პიესები, კარგი წიგნები. აღვბეჭდოთ ჩვენს წიგნებში საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის გრანდიოზული ეპოპეა, დაეუტოვოთ შთამომავლობას უკვდავი სახელები იმ მებრძოლებისა, რომლებმაც მკერდით დაიცვეს სამშობლო და ფაშისტური ურჩხულის მოსპობით უზრუნველყვეს საბჭოთა ხალხის და მთელი კაცობრიობის ბედნიერი მომავალი.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲖᲐ ᲡᲐᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲝᲛᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ

Ბ. ᲟᲦᲔᲜᲢᲘᲡ ᲛᲝᲮᲡᲜᲔᲜᲔᲑᲐ

საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი, რომელიც უკვე ორი წელიწადია მიმდინარეობს, ძთელი ჩვენი საამშობლოსათვის, ჩვენი სამშობლოს ყოველი შვილისათვის უდიდეს გამოცდად გადაიქცა. მიუხედავად მრავალი მსხვერპლისა, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ ამ ბრძოლაში გაიღო, მიუხედავად მრავალი განსაცდელისა, რომელიც ჩვენმა ხალხმა გადაიტანა, ჩვენ მაინც შეგვიძლიან სრული სიამაყით ვთქვათ, რომ ჩვენმა ქვეყანამ, მისმა პოლიტიკურმა წყობილებამ და სამეურნეო სისტემამ, მისმა ახალმა სოციალისტურმა კულტურამ ბრწყინვალედ ჩაბარეს ეს დიდი გამოცდა, დაამტკიცეს რა ჩვენი სამშობლოს უძლეველობა და ვერაგ მტერზე საბჭოთა ხალხის გამარჯვების გარდაუვალობა. სამამულო ომმა მოითხოვა მთელი ჩვენი ძალების, დაძაბვა, მოითხოვა ფიზიკური და ინტელექტუალური ძალების მაქსიმალური მობილიზაცია, მთელი სამეურნეო რესურსების დაძაბვა. ომის პირველი დღიდანვე ჩვენი ქვეყანა ცოცხლობს ერთი ლოზუნგით: ყველაფერი ფრონტისათვის, ყველაფერი გამარჯვებისათვის.

როცა ვითვალისწინებთ ქართველი ხალხის ხელოვნის წონასა და როლს სისხლიანი ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, ძალაუნებურად ისმება საკითხი—შეესაბამება თუ არა ქართული მწერლობის მონაწილეობა ქართველი ხალხის მონაწილეობას ამ წმინდა სამამულო ომში, ესე იგი ასახავს თუ არა ჩვენი ლიტერატურა იმ დიდ ბრძოლას, რომელსაც ქართველი ხალხის შვილები ჩვენი მოძმე ხალხების შვილებთან ერთად ფრონტებზე ეწევიან. რა თქმა უნდა, ჯერ ომი არ დამთავრებულა, ჯერ მტერი განადგურებული არ არის, მაგრამ ეს დღე არც ისე შორსაა და უნდა ვიცოდეთ, რომ დადგება ანგარიშის დრო, შეჯამების დრო, როცა ყოველი დარგის, ყოველი სფეროს მუშაკს ჰკითხავენ, რა მონაწილეობა მიიღო მან ამ დიდ ისტორიულ ბრძოლაში. ჩვენი მოვალეობაა ვემზადოთ ამ მოსალოდნელ ანგარიშგებისათვის, ბრძოლა ეუფოთ მთელ ჩვენს შესაძლებლობას, რათა აღმოვჩნდეთ ჩვენი მოწოდების სიმაღლეზე, რათა პირნათლად და ამაყად წარვსდგეთ ომგადახდილ საბჭოთა ხალხის წინაშე, რათა მოვახსენოთ მას, რომ ჩვენ, ქართველ მწერლებმაც, ჩვენი წვლილი გვაქვს შეტანილი ვერაგ მტერზე მოპოვებულ გამარჯვებაში.

სამამულო ომის პირველი დღიდანვე ქართული მხატვრული პროზის დარგში მომუშავე ქართველი მწერლები თავიანთ მუშაობას აწარმოებენ იმ ახალი ამოცანების და ამ პასუხისმგებლობის მთელი შეგნებით, რომლებიც ჩვენი მწერლობის წინაშე დაისვა. არ არის არც ერთი ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ქართველი მწერალი, რომელსაც ესა თუ ის შემოქმედებითი მუშაობა არ ეწარმოებინოს სამამულო ომის დღეებში და თავისი შემოქმედებით წვლილი არ შეეტანოს იმ დიდ ბრძოლაში, რომელსაც ჩვენი ხალხი აწარმოებს. ამ მხრივ ქართული მხატვრული პოეზიის თემატიკა სავსებით შეეფარდება ჩვენი ქვეყნის დღევანდელ ბრძოლას. მაგრამ საკითხი ის არის, თუ რამდენად ინტენსიურად მუშაობდნენ ჩვენი პროზაიკოსები, რამდენად ღრმად და საფუძვლიანად უპასუხებდნენ ისინი თავიანთი შემოქმედებითი მუშაობით იმ ამოცანას, რომელსაც უსახავს მწერალს არჩეული თემა და მასალა.

როგორც ყოველთვის, ჩვენი მხატვრული პროზის თემატიკა სამამულო ომის დღეებში მრავალფეროვნებით ხასიათდება და ის, რაც დღემდე გამოქვეყნდა, შეიძლება ორ ჯგუფად გაიყოს: მხატვრული პროზაული ნაწარმოებები. რომლებიც ქართველი ხალხის ისტორიულ წარსულს გვიხატავენ, და ნაწარმოებები რომლებიც ასახავენ საბჭოთა ხალხის დღევანდელ დიად ბრძოლას. პირველ ჯგუფის ნაწარმოებებს შორის უეჭნარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს კ. გალაკტიონოვის ომანი „დავით აღმაშენებელი“. რომელმაც მიიპყრო ქართველი საზოგადოების ყურადღება და რომელიც ჩვენი ხალხის გმირული წარსულის გაცოცხლების მხრით შეიძლება ყველაზე მნიშვნელოვან ნაწარმოებად ჩაითვალოს თანამედროვე ქართულ პროზაში. ქართულმა საზოგადოებრიობამ ამ ნაწარმოებს მისცა მაღალი შეფასება. ჩვენ ერთხელ კიდევ უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ დიდი ნაწარმოების შექმნა სამამულო ომის ეთაურებში წარმოდგენს დადებით მოვლენას, ოღონდ ავტორისა და მთელი ჩვენი მწერლობის საყურადღებოდ კვლავ უნდა გავუსვათ ხაზი იმ გარემოებას, რომ ანალოგიური ნაწარმოების შექმნისას ჩვენი ხალხი მოითხოვს მწერლისაგან მეტ სიახლოვეს ისტორიულ სინამდვილესთან, მეტ რეალიზმს და ისტორიული გმირის სახელმწიფოებრივ _ საზოგადოებრივ მოღვაწეობის უფრო მეტ ზენ წამოწევას მის ირგად ცხოვრებასთან შედარებით.

სამამულო ომის პერიოდში დაწერილ მხატვრულ ნაწარმოებთა შორის აგრეთვე გამოირჩევა ა. ქუთათელის რომანი „პირისპირ“ მეესამე წიგნი, რომელიც ასახავს ქართველი ხალხის უახლოეს ისტორიულ წარსულს. ამ რომანის პირველმა ორმა წიგნმა მკითხველს დიდი ინტერესი აღუძრა და მისი მღელი შეფასებაც დაიმსახურა. მესამე წიგნზე ავტორს უწარმოებია ინტენსიური შემოქმედებითი მუშაობა ისტორიულ — რევოლუციური ბრძოლების ერთ-ერთი საინტერესო ეტაპის წარმოსასახად და უნდა ვსთქვათ, რომ ამ მუშაობას თავისი საყოფი გაუოფლია. თავისი შემოქმედებითი სიღრმით და მასალის მხატვრული დაძლევის თვალსაზრისით მესამე წიგნი არა თუ ჩამოუჩრჩება პირველ ორ წიგნს, არამედ შეიძლება ითქვას, რომ იგი წარმოადგენს ახალ შემდგომ საფეხურს ოროგორც ბოელენების ასახვის, ისე გმირთა სულიერი ვითარების ჩვენების მხრით. „პირისპირ“-ის მესამე წიგნში წარმოდგენილია იმ ახალგაზრდა ქართველი ინტელიგენტის ბიოგრაფია, რომელიც განიცდის თანდათანობითს გარდაქმნას და რომელიც უახლოვდება ბოლშევიკურ პარტიას, ჩვენი ხალხის საბრძოლო იდეებს. ამ გმირის სულიერი ცხოვრების, მისი შინაგანი სამყაროს გადმოცემის მხრით მესამე წიგნი ავტორის უფროსი მხატვრული წინსვლის მომასწავებელია, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წიგნი ზედმეტად დატვირთულია ისეთი მასალით, რომელიც ამ რომანის ცენტრში არ უნდა იყოს მოქცეული. თუ პირველ წიგნში ავტორმა შეძლო ბოელთა ... ...

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პლენუმი

და გამომდგარიყო რაიმე დასკვნის გამოსატანად საბჭოთა ადამიანების ყოფაქცევის, ძათი ძორალური და სულიერი თვისებების ფესვები. იგივე შეიძლება ითქვას დ. კვიოკველიას მოთხრობაზე „დაბრუნება“, როძელიც ეტის-ეტად გამოგოსილ და ნელოვანეო სიტუაციას ეძყარება. შემთხვევითი აეიკვედოა, ოოკლებული რაიმე აზრობრივ დანიშნულებაა, საფუძვლად უდევს ახალგაზოდა ალეატრისტის ლადო ავალიანის მოთხრობას „ახალი ქისამართი“. არადამახასიათებელ ამბავს ძოგვითხრობს პარშენ ლორიაც თავის მოთხრობაში „დაბრუნებული“. ახალგაზოდა პროზაიკოსის ანდრო ლომიძის მოთხრობაში „გმირები არა კვდებიან“ გმირის უკვდავების იდეა პირდაპირ, დაუჯერებლად არის გამოხატული.

როგორც ნიმუში სამამულო ომის თემაზე დაწერილ კარგი მხატვრული ნაწარმოებისა, ძეიძლება დასახელებულ იქნას ლეო ქიაჩელის მოთხრობა „მამა და შვილი“, სადაც ძხატვრულად დასაბუთებულია ფრონტისა და ხურგის გასუყოფელი ერთიანობის იდეა.

კარგ ძხატვრულ ნაწარმოებს წარმოადგენს კ. ლორთქიფანიძის მოთხრობა „როგორ მოკვდა მებადური“, რომელიც გვიჩვენებს საბჭოთა ადამიანისათვის დამახასიათებელ პატრიოტულ თავგანწირულებას, მის შინაგან მორალურ ძალას, სულიერ რაინდობასა და უშიშროებას სიკვდილის წინაშე. სამწუხაროდ, ასეთ მაღალ შეფასებას ვერ იისახურებს ამავე ავტორის მეორე მოთხრობა „ეხა“.

ჩვენს ლიტერატურულ სინამდვილეში უსათუოდ აღსანიშნავი მოვლენაა კ. ლორთქიფანიძის და ი. მოსაშვილის ნარკვევების წიგნი „ჩვენ ვნახეთ ისინი“, რომელიც წარმოგვიდგენს როგორც ფრონტის გმირებს, ისე ჩვენი საწარმოებისა და კოლმეურნეობების მუშაკებს. ნარკვევების წიგნი დაწერილია დიდი სიყვარულით და შასალის ცოდნით, რაც მაჩვენებელია იმისა, რომ ავტორები ბრძოლის ველზედაც ყოფილან და ხურგსაც კარგად იცნობენ. ამ წიგნს უეჭველად აქვს შემეცნებითი და აღმზრდელობითი ძალა.

დიდი ყურადღებით და ინტერესით შეხვდა მკითხველი საზოგადოებრიობა და მთელი საბჭოთა პრესა ს. ჩიქოვანის მშვენიერ ნარკვეულ „ქართველები ბრძოლის ველზე“.

საბჭოთა ხურგის ადამიანებზე საინტერესო მოთხრობა დასწერა ა. ბელიაშვილმა. ა. ბელიაშვილის მოთხრობა „უმცროსი“ მხატვრულად გვისაბუთებს, რომ გმირობა მარტო ბრძოლის ველზე კი არ ხდება, არამედ ხურგშიაც, რომ ხურგიც იძლევა ფართო სარბიელს გმირობისათვის. სამწუხაროდ, ასეთსავე იდეურობასა და აზრს მოკლებულია ამავე ავტორის ეხლახან გამოქვეყნებული მოთხრობა „ქუთათურთა ფინდები“, რომელიც ოსტატურად არის დაწერილი, მაგრამ ჩვეულ ვითარებაში იგი არავითარ ფუნქციას არ ასრულებს.

ჩვენი ხურგის პატრიოტული განწყობილების გამოსახატავად დაწერილ ნაწარმოებთა შორის აღსანიშნავია შ. დადიანის მოთხრობა „თამბაკო“, სადაც მოცემულია ორი ქალის სახე, ათი ძეგოსოული უოთიერთდამოკიდებულება და გულისხმიერეობა ფროსტისადმი.

ოთაკეეიძე საინტერეოო ოოთხოოთა დასეურა საძაძულო ომის აირველ თვეებში დეიაა ძეიგელიაან.

საძაძულო ომის პირველ დღეებში აქტიურად ფუსოობდა ს. კლდიაშვილი, ა. ჭეიშვილი და სხვ.

სამაძულო ომის პერიოდში აქტიურად ეუშაობს ელიზბარ პოლუმოოდვიხოვი. იგი საბედრო პოეზასთან არის დაკავშირებული, ძაგოად, სამუხაროდ, მისი ოოთხოოოეიდან ეია სრახს ჩვეი არძეის სინაძდვილის საფუძველიანი ცოდნა და ავტორის ხოუხვა ძხატვრული გახსახიეოებია საეუალებათა ძაღალი ეაოსანისათვის.

საძაძულო ომის პერიოდში სამწეოლო ასპარეზზე გაძოვიდა სინო დოლიძე, ოომლის ახლახან გაოოცეძული მოთხრობათა კრეეულ ა ამყოდავნებს, ოოო ავტორს აქვს თეეების ძიგნების უხარი, გონებაძახვილოაა და მოთხრობის სიუჟეტუოად გამაოთვის ნიჭი. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მოთხრობა „ხიხინეა“.

საინტერესო ჭითხრობები დასწერა ახალგაზრდა ალოოსიკოსმა გრიგოლ ჩიქოვანმა.

აქტიური და ფრიად ხაყოფიერი იყო ბელეტრისტი როდიონ ქორქია. ფროოტსა და ხურგზე დაწერილ მის მოთხრობებს შორის უკვე ფართო პოპულარობით სარგებლობენ მოთხრობები „ყველგან შინ“ და „ქართველები გახლავართ“.

ძხატვრული პროზის დარგში დაიწყო მუშაობა პოეტმა სანდრო ეულმა. ზოგიერთი მისი სატირული ნოველა, მათ შორის „ნამდვილი სიკვდილი“ უეჭველი ინტერესით ოკითხება, ძაგრამ ასეთი სატირული ხოველების გვერდით ს. ეულს ისეთი ნაწარმოებიც აქვს, რომელთაც აკლიათ შინაგანი სიმართლე და დამაჯერებლობა.

ამრიგად, თუ ჩვენს მოხსენებას დასკვნას გაუკეთებთ, უნდა ვთქვათ, რომ სამამულო ომის პერიოდში შექმნილია მთელი რიგი საყურადღებო ნაწარმოებები, რომლებიც უეჭველად ახალი ეტაპის დასაწყისს მოასწავებენ ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში. მაგრამ ამავე დროს უდავოა, ჩვენ ჯერ კიდევ ცოტა რამ გაგვიკეთებია იმასთან შედარებით, რასაც მწერლობისაგან მოითხოვს ჩვენი ქვეყნის ახლანდელი უადრესად დაძაბული ვითარება. ჩვენმა პლენუმმა უნდა გააძლიეროს პასუხისმგებლობის გრძნობა და მწერლის წინაშე დასახული ამოცანების შეგნება. ჩვენს სამწერლო საზოგადოებრიობაში. საჭიროა ვიდრე გვიან არ არის, ყველაფერი მოვიმოქმედოთ იმისათვის, რომ მწერალმა უშუალოდ ნახოს და გაიცნოს ჩვენი დიადი ბრძოლის ცოცხალი სინამდვილე როგორც ფრონტზე, ისე ხურგში, გაიცნოს და მიიღოს მისი უშუალო შთაგონება, რაც აუცილებელია ჭეშმარიტი ძხატვრული ნაწარმოების შესაქმნელად, მისი ჭეშმარიტი და ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობისათვის.

ქართველი მწერლები სამხედრო პრესაში

ი. მოსაშვილის მოხსენება

ბალე ორი წელი შესრულდება, რაც მთელი ჩვენი ქვეყანა, საბჭოთა ხალხი დევგმირულად ებრძვის გერმანელ ოკუპანტთა წინააღმდეგ.

სამამულო ომმა საბჭოთა ქვეყნის მუშაობა და გლეხებს, მის ინტელიგენციას ისტორიული ამოცანა დაუსახა: ყოველმა ადამიანმა თეელი თავისი ნიჭი და ცოდნა, მთელი თავისი ძალ-ღონე მოიახმაროს ჩვენს ქვეყანაში ვერაგულად შემოსეული ფაშისტური ურდოების საბოლოოდ განადგურების საქმეს.

ქართველი საბჭოთა ინტელიგენციაც, როგორც მთელი ქართველი ხალხი, ამ ორი წლის მანძილზე თავგამოდებით იბრძოდა და მუშაობდა. ბევრი ქართველი საბჭოთა მწერალი სამამულო ომის პირველ დღეებიდანვე იბრძვის მოძმედ არმიაში, იბრძვის, როგორც საბჭოთა საშობლოს თავდადებული პატრიოტი.

მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ქართველი საბჭოთა მწერლების მუშაობა წითელ არმიაში, განსაკუთრებით მოძმედ არმიაში, ისე გვგმიანი და ნაყოფიერი ვერ იყო, როგორც რუსი, უკრაინელი და ბელორუსი ამხანაგებისა.

ამის მიზეზად ფრონტის სიშორე ან სხვა გეოგრაფიულ - ტერიტორიალური მოტივები არ გამოგვადგება, ისე, როგორც ამ მიზეზებმა ხელი ვერ შეუშალეს ქართველი ხალხის ღირსეულ შვილებს თავი ესახელებინათ სამამულო ომის შორეულ და მახლობელ ფრონტებზე.

როგორც საბჭოთა ქვეყნის სხვა ხალხებმა, ქართველმა ხალხმაც საბჭოთა ქვეყანას მისცა სამამულო ომის ბევრი გამოჩენილი გმირი.

ჩვენთვის, საბჭოთა მწერლებისათვის რა უნდა წარმოადგენდეს იმაზე საპატიო ამოცანას, რომ ჩვენს შემოქმედებაში ავსახოთ ეს ადამიანები და არა მარტო ქართველ ხალხს, მთელ საბჭოთა ქვეყანას გავაცნოთ მათი სახელოვანი ბრძოლის გზა, მათი გმირული საქმეები?

მე დავალებული მქონდა თქვენთვის წარმომედგინა მოხსენება თემაზე „ქართველი მწერლები სამხედრო პრესაში“.

შევეხები უფრო დამახასიათებელ გაზეთებს.

ჩვენს ხელთ იყო ყველაზე სრული კომპლექტი გაზეთის „მუშურ-გლეხური წითელი არმიის მებრძოლი“ და მეც აქედან ვიწყებ ჩიმოხილვას.

ამ გაზეთში წარსულსა და მიმდინარე წელს დაბეჭდილია: ი. აბაშიძის ლექსი „მამულს შეჰფიცა“, მიძღვნილი საბჭოთა კავშირის გმირ ვ. ლურსმანაშვილისადმი, შ. დადიანის წერილი „საქართველოს აღზრდილნო, ხმალს როდი მოგიშიგდებათ“, ვ. დარასელის „კაპიტანი მოდის“, ი. გრიშაშვილის ლექსი „ეკაკუირებულ ბაშვებს“, ს. ეულის სცენასკეტჩი „ალპიური ვარდი“, თეეზაძის ლექსი „დიდება გმირებს“, ე. ივერიელის (პოლუმორდვინოვის) ორი ნარკვევი, გ. ლეონიძის ლექსი „ხარკოვი ავიღეთ“, ა. მაშაშვილის „როსტოვი ჩვენია“, რ. ქორქიას მოთხრობა „ქართველები გახლავართ“, გალ. ტაბიძის „გამარჯვება უპირველეს ყოვლისა“, ვ. ქუჩიშვილის ლექსი „კავკასიის ხალხი“, ლავ. ჭიჭინაძის მოთხრობა „მიცვალებული“ და ი. მოსაშვილის ლექსი „ყველას გვეძახის“.

რადგან ჩვენი მოწინავე პოეტების ყველა ზემოდასახელებული ლექსი თქვენთვის ცნობილია, მათზე არაფერს ვიტყვი. მიდა აღვნიშნო მხოლოდ, რომ ამ გაზეთისათვის სპეციალურად დაწერილ შასალიდან ყურადღებას იქცევს ამბ. დარასელის უპრეტენზიო და კარგად დაწერილი „კაპიტანი მოდის“.

უეჭველად სუსტად არის. დაწერილი ლავ. ჭიჭინაძის „მიცვალებული“, რომელსაც ყველაფერი აკლია საბჭოთა კავშირის გმირის კაპიტან ლურსმანაშვილის, თავისთავად ამ შესანიშნავი საბრძოლო ეპიზოდის მხატვრულად ასახვისათვის.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ჩვენთვის სრულიად უცნობი ახალგაზრდა პოეტის კურსანტ ნ. მგელიაშვილის ლექსი „ქართულ მეომარს“, რომელსაც თავიდან ბოლომდე ნიჭიერი ავტორის ხელი ატყვია. წაგიკითხავთ ლექსს მხოლოდ უკანასკნელ სტროფს:

„შენ საკაძის ჯიშისავ, ძმად შეფიცულო
იარაღს,
როგორც არწივმა დაჰკივლე შავი ყორნების
იალაღს.
როცა შენც დაგჩრეს, ბრძოლაში ტყვიამ
ამოგწვა იარა—
„ზიზღი მტერს“ — სისხლმა დასწერა —
მკერდზე რომ ჩამოგიარა“.

კარგია წითელ არმიელ ალ. ჯაფარიძის ლექსიც „წინაპრები“. აი ამ ლექსის პირველი და უკანასკნელი სტროფები:

„არ ჩაუგიათ ქარქაშში ხმალი,
საუკუნენი გალიეს ომით,
არ მოუხუჭავთ არასდროს თვალი
და წლებს ჰკეცავდნენ ბრძოლით და
შრომით“.

„გაიკლის ყამი. ჩადგება ქარი,
ჩვენც წინაპრებად ვიქცეეთ მაშინ,
და ვიგუგუნებთ ისე, ვით ზარი,
შთამომავლობის შორეულ ხმაში“.

ჩვენ მიერ განხილულ გაზეთებში ამხ. ჯაფარიძის სხვა ლექსებიც გვხვდება, რომელნიც ჩვენგან, მწერლებისაგან, ამ ავტორისადმი მეტს ყურადღებასა და მზრუნველობას მოითხოვენ.

ამავე გაზეთში მოთავსებულია პოლიო აბრამიას კარგი ლექსი „ჩემს შვილს“.

გაზეთ „სამშობლოს დამცველშიც“ დაახლოებით ასეთივე მდგომარეობაა. მასში დაბეჭდილია სიმ. ჩიქოვანის ლექსი „დღიური ბრძოლის ველიდან“, ა. მაშაშვილის „სიმღერა გამარჯვებისა“, ა. თევზაძის სამი ლექსი: „დიდება ეროებს“, „ჩემი ძმა“, „გმირობა“, კონსტ. ლორთქიფანიძის ორი მოთხრობა — „საველე ლაზარეთში“, „მამა და შვილი“ და ერთი წერილი „საბჭოთა საქართველო სამამულო ომის დღეებში“, შ. დადიანის ნოველა „ის“, რ. ქორქიას მოთხრობები: „სიზმარშიაც კი!...“ და „ქართველები გახლავართ“, ვ. დარასელის სტატია „ან სიკვდილი, ან გამარჯვება“ და ი. მოსაშვილის ლექსები: „ერთი წელია“, „შვილს“, „ყველას გვეძახის“ და „არაკი გეგუშიქე“.

ცალკე მინდა გამოეყო ახალგაზრდა პოეტი სანდრო ეულინტი, იშვიათია გაზეთ „სამშობლოს დამცველს“ ისეთი ნომერი, რომ მისი მომწოდებელი, მებრძოლი ლექსი არ იყოს დაბეჭდილი, თითქმის ყველა ეს ლექსი შენაერთის ლაშქრობის პირობებში იწერებოდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არც ერთ მათგანს არც დაუდევარი, არც ნაჩქარევი ხელი არ ატყვია. განსაკუთრებით აღსანიშნავია ლექსი „ორნი“, სადაც ავტორის პოეტურ სიტყვას უბრალოდ, მაგრამ უშაკოდ აუსახავს ომის ბრძოლაში სანიტარი ქალის მიერ მძიმედ დაჭრილი გმირის გადარჩენის ეპიზოდი:

„მზემ გაანათა მიდამო ვრცელი,
გულშიც რიჟრაჟის ცეცხლი ანთია,
ორი ფრონტელი: გმირი და მხსნელი
ერთად ხვდებიან ამ დღის განთიადს“...

ასე მთავრდება სანდრო ეულინტის მიერ ნიჭიერად დაწერილი ეს ლექსი.

გაზეთში „წინ გამარჯვებისაკენ“ და „სამშობლოს ღირსებისათვის“ ჩვენი ავტორებიდან დაბეჭდილია ი. მოსაშვილის ერთადერთი ლექსი და პოლიო აბრამიას ლექსები „პასუხი ამხანაგს“, „მებრძოლს“, „ქართველ მებრძოლებს“, „სამშობლოს“, „ცმირი“, „შვილს“ და მთელი რიგი სხვა ლექსები, რომელთა მხატვრული დონე ყოველთვის დამაკმაყოფილებელი ვერ არის. იქნებ ეს აიხსნებოდეს იმ გარემოებით, რომ დასახელებული ლექსები მომქმედ არმიაში, ფრონტის პირობებში იწერებოდა და ავტორს საშუალება არა ჰქონდა მათზე გულმოდგინედ ემუშავნა. მიუხედავად ამისა, რამდენიმე ლექსი, მათ შორის „ქართველ მებრძოლებს“, „შვილს“ და განსაკუთრებით კი ლექსი „ჩემს შვილს“ ღირსეულ მხატვრულ დონეზე დგას.

ამავე სახელწოდების სხვა წითელარმიულ გაზეთში დაბეჭდილია ა. მაშაშვილის „დედას ფიქრები“, ი. აბაშიძის „კაპიტანი ბუხაიძე“, სიმ ჩიქოვანის „მამაც მებრძოლს ნიკოლოზ ფაცაცია“, კონ. ლორთქიფანიძის მოთხრობა „როგორ მოკვდა მოხუცი მებადური“, კ. კალაძის და ს. თაველის თითო ლექსი, ი. ნონეშვილის „ფრონტის დობილებს“, მ. ფარულავას ლექსი „არც ერთი ნაბიჯი“ და ი. მოსაშვილის წერილი „გზა გამარჯვებისა“.

წითელარმიული გაზეთის „სამშობლოსათვის“ მთელ კომპლექტში დაბეჭდილია მხოლოდ ა. მაშაშვილის ერთი ლექსი „დგას ორი ქალაქი, ორი ძმად ნაფიცი“, ლავ. ჭიჭინაძის რამდენიმე ნარკვევი და მოთხრობა და ა. გომიაშვილის ერთი წერილი „სტალინის ბრძანება დედა-სამშობლოს ბრძანებაა“.

შემდეგ წითელარმიულ გაზეთში „სამშობლოს სადარაჯოზე“ მოთავსებულია ა. მაშაშვილის ლექსი „ბერი მხედარო“, გ. ლეონიძის ლექსი „წინ, სტალინურო არწივო“ და ა. შანიძის სამი ლექსი: „წინ, ძმებო“, „გვეძახის ბრძოლის ველი“, „ფოლადის არწივები“ და ნარკვევი „ველზე“.

რაც შეეხება გაზეთს „წინ სამშობლოსათვის“, მასში მოთავსებულია მალხაზ ფარულავას კარგი ლექსი „საბჭოთა კავშირის ვმირს პირმისაშვილს“ და მეტი არაფერი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია დემანა შენგელაიას მუშაობა რუსულ გაზეთში „ეროოი როდინი“, სადაც იგი ხანგრძლივად მუშაობდა როგორც ერთ-ერთი ძირითადი თანამშრომელი.

ყველა ზემოაღნიშნულს რომ თავი მოვუყაროთ, პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ როგორც პოეტებს, ისე პროზაიკოსებს და განსაკუთრებით დრამატურგებს ძალიან ცოტა რამ გაგვიკეთებია სამამულო ომის მთელი ორი წლის მანძილზე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მეტად გამაფრთხილებელი დასკვნა უნდა გავუკეთოთ მთელს ჩვენს მუშაობას ჩვენი ხალხის დაძაბული შრომისა და ბრძოლის ამ ისტორიულ დღეებში.

სამამულო ომის მაჯისცემა ისმის არა მარტო ფრონტზე, ისმის აქაც ფრონტის შორეულ ზურგში, სადაც საბჭოთა ადამიანები ქალაქად თუ სოფლად, მაღაროებში, ქარხნებში და საკოლმეურნეო მინდვრებზე გმირულ, დაძაბულ შრომას ეწევიან, რათა ჩვენს სახელოვან წითელ არმიას მისცენ ყველაფერი, რაც კი საჭიროა ვერაგსა და ულმობელ მტერზე ჩვენი საბოლოო გამარჯვებისათვის.

სამწუხაროდ, ამ მხრივაც თითქმის არაფერი გაგვიკეთებია ამ ორი წლის მანძილზე.

პირდაპირ შეიძლება ითქვას: თითქმის სრულიად სდუმს ჩვენი მწერლობის მეტად მნიშვნელოვანი ნაწილი.

განსაკუთრებით ცუდად გვაქვს საქმე მწერალთა ახალგაზრდა კადრებთან მუშაობის დარგში. ამ ახალგაზრდებიდან მხოლოდ რამდენიმე კაცი. მუშაობს დამაკმაყოფილებლად. კარგი მუშაობა წითელარმიულ გაზეთში არ უნდა დაუვიწყოთ ახალგაზრდა პოეტს რევაზ მარგიანს, რომელსაც კარგახანს მოუხდა ფრონტზე მუშაობა როგორც გაზეთის მუშაკს, პოეტსა და მთარგმნელს. მან მომქმედი არმიიდან დაბრუნების შემდეგაც დასწერა რამდენიმე კარგი ლექსი. სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს აღარ ისმის ამხ. მარგიანის ხმა.

ამ ახალგაზრდათა შორის, წითელ არმიაში გაწვევამდე და მის შემდეგაც ურიგოდ არ იმუშავა იოსებ ნონეშვილმა, რომელიც ამჟამად ერთ-ერთი ჩვენი სამხედრო შენაერთის გაზეთის რედაქციაში მუშაობს.

მაგრამ, როგორც ზემოთაც ავღნიშნე, ჩვენს ახალგაზრდა პოეტებს შორის ყურადღებას იქცევდა თავისი შესანიშნავი მუშაობით — მუშაობის დროს და შემდეგ ბრძოლის დროსაც, როდესაც კალაში ავტომატიო შესცვალა — ამხ. სანდრო ეულინტი.

მე ხელთა მაქვს ჩვენი ახალგაზრდა ნიჭიერი პოეტის მირზა ბელოვანის ლექსი, რომელიც ამ ორი დღის წინად მიიღეს ამხანაგებმა. ამხ. ბელოვანი დღიდან სამამულო ომის დაწყებისა წითელი არმიის რიგებშია, როგორც მებრძოლი ტანკისტი, და მის მიერ ნიჭიერად დაწერილ ლექსს —„მეგობარ პოეტს“ ყველა სიყვარულით მოუსმენს.

ჩვენი ქვეყნის შეიარაღებულ ძალთა უმაღლესმა მთავარსარდალმა ამხანაგმა **სტალინმა** თავის სპირველმაისო ბრძანებაში 1943 წელს პირდაპირ სთქვა „საჭიროა, რომ ზურგში ყველა ჩვენი ადამიანი და ყველა დაწესებულება შეწყობილად და ზუსტად, კარგი საათის მექანიზმსავით მუშაობდეს“...

რადგან ჩვენ, ქართველი საბჭოთა მწერლები, ყოველთვის ამ ადამიანთა მოწინავე რიგებში ვიდექით, ბელადის ბრძანების ეს სიტყვები თვითეულ ჩვენგან და მთელს ჩვენს ორგანიზაციასაც შეეხება.

ამიტომ საჭიროა დღეიდან მაინც ძირფესვიანად გარდავქმნად ჩვენი ნუშაობა, რომ როდესაც ჩვენი ომგადახდილი ქვეყანა დასთვლის იმას, თუ ვინ რა გააკეთა, ვინ რით დაეხმარა ჩვენს გმირულ წითელ არმიას ჰიტლერელ მტაცებლებზე გამარჯვების საქმეში,—ამ დიდ საათვალავში ჩვენი კარგი მუშაობის ნაყოფიც ერიოს.

* * *

ამხ. **ბ. ეულენტისა** და ამხ. **ი. მოსაშვილის** მოხსენებათა გარშემო გაიმართა გაცხოველებული აზრთა გაცვლა-გამოცვლა. კამათში გამოვიდნენ **შ. რადიანი, ლეო ქიაჩელი, ს. თავაძე, დ. შენგელაია, პ. ლორია, ა. ბელიაშვილი, ა. გაწერელია, ა. ჭეიშვილი, ხ. ეული, ბ. ჩხეიძე, ვ. დარასელი, ლ. ავალიანი.**

ბ. ეულენტის საბოლოო სიტყვის შემდეგ პლენუმის მუშაობა შეაჯამა **ი. აბაშიძემ.**

დასასრულ, განხილულ იქნა ორგანიზაციული საკითხები. პლენუმმა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის შემადგენლობაში აირჩია ბეს. ეულენტი და **რაჟდენ გვეტაძე.**

სანდრო ეულის ახალი ლექსების კითხვა

2 ივნისს მწერალთა კლუბში პოეტების სექციამ მოაწყო სანდრო ეულის ახალი ლექსების კითხვა. ეს ლექსები მიძღვნილია სამამულო ომისადმი. ციკლი შესდგება ათი ლექსისაგან და მას ავტორმა პირობითად „დაჭრილი სოფელი“ უწოდა.

ლექსების სათაურებივე ააშკარავებენ მათ მიმართებას, მიზანდასახულებას: „დაჭრილი სოფელი“, „სადაც იდგა სახრჩობელა“, „პარტიზანი დედა“, „ერთი მუჭა მიწის ძალა“, „სადაც ყვაოდა ალუბლის ბაღი“, „გამოწვდილი ხელები“ და სხვ.

ლექსების წაკითხვის შემდეგ გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს: კონსტანტინე ლორთქიფანიძემ, ლეო ქიაჩელმა, იოსებ გრიშაშვილმა, ხარიტონ ვარდოშვილმა, აკაკი გაწერელიამ, ალექსანდრე ქუთათელმა, ილო მოსაშვილმა, კონსტანტინე ჭიჭინაძემ, გრიგოლ აბაშიძემ, ვასო გორგაძემ, რაჟდენ გვეტაძემ, გრიგოლ ცეცხლაძემ, ერემო ასტვაცატუროვმა, გერონტი ქიქოძემ, სიმონ ჩიქოვანმა.

სანდრო ეულის ახალ ლექსებს ახასიათებს თემატიკური სიახლე. ისინი შეეხებიან სამამულო ომის ისეთ მხარეებს, რომლებიც ქართულ მწერლობაში ნაკლებად არიან გაშუქებული და რომლებიც მეტად საინტერესო მასალას შეადგენენ შემოქმედისათვის, ყოველი ლექსი საინტერესოდ არის მოფიქრებული, ყოველ ლექსს ფაბულა აქვს და ყველა ისინი ერთ თემაზეა დაწერილი — საბჭოთა სოფელზე, რომელიც დროებით ოკუპირებულ იქნა ფაშისტების მიერ და რომელიც შემდეგ გაანთავისუფლა წითელმა არმიამ (ა. ქუთათელი, გრ. აბაშიძე, ს. ჩიქოვანი, რ. გვეტაძე).

ახალი ლექსების უმრავლესობა მეტად გულწრფელად არის დაწერილი. ყოველი ლექსი ოპტიმისტური განწყობილებით არის გამსჭვალული, მათში გამოსჭვივის საბჭოთა პატრიოტის ღრმა რწმენა გერმანელ ოკუპანტებზე გამარჯვებისა, თავდადებული სიყვარული დედა-სამშობლოსადმი (გ. ქიქოძე, კ. ჭიჭინაძე, ი. მოსაშვილი, ვ. გორგაძე, ი. გრიშაშვილი).

განსაკუთრებული შეფასება ხვდა ლექსებს „ერთი მუჭა მიწის ძალა“, „გაზაფხული“ და „სადაც ყვავოდა ალუბლის ბაღი“. ამ ლექსებში, მოკაცთა აზრით, სჩანს ავტორის მიერ სიახლის გრძნობის გამომჟღავნება, თემის თავისებური პოეტური ხერხებით შესრულება.

ყველა ამ დადებით მხარესთან ერთად მწერლებმა ავტორს მისცეს შემდეგი ხასიათის შენიშვნები: ზოგიერთ ლექსში საჭიროა უფრო მეტი დახვეწილობის შეტანა, მეტი კონკრეტულობა, ალაგ-ალაგ ისმის პროზაიზმი, ზოგიერთ ლექსს აკლია დამახასიათებელი კოლორიტი და სხვ. (კ. ლორთქიფანიძე, ლ. ქიაჩელი, ა. გაწერელია, ე. ასტვაცატუროვი).

ავტორმა მიიღო შენიშვნები და გაანაცხადა, რომ ამ ლექსების ციკლზე ის განაგრძობს მუშაობას.

მაიაკოვსკის დაბადების 50 წლისთავი

19 ივლისს სრულდება 50 წელი ვლადიმერ მაიაკოვსკის დაბადებიდან.

ამ თარიღისათვის სსრკ საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმი მოსკოვის ხაწარმოებსა და კლუბებში აწყობს პოეტის შემოქმედებისადმი მიძღვნილ მოხსენებებსა და ლიტერატურულ საღამოებს. ყოველთვიურ ჟურნალების ივლისის ნომრებში დაიბეჭდება სტატიები მაიაკოვსკის შემოქმედებაზე.

ჩაიკოვსკის სახელობის დარბაზში გაიმართება დიდი სამხატვრო-სალიტერატურო საღამო, რომელზედაც მოხსენებით თემაზე „მაიაკოვსკი, როგორც ჩვენი ეპოქის უნიჭიერესი პოეტი, საბჭოთა სამშობლოს პატრიოტი, ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლი“ გამოვა ა. ფადეევი.

მწერალ ნ. ტიხონოვის დაჯილდოება

გერმანელ ოკუპანტების წინააღმდეგ ბრძოლაში თავგადადებული და განსაკუთრებული დამსახურებისათვის სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენით დაჯილდოებულია რუსი მწერალი ნ. ტიხონოვი

„ბელადი“ სომხეთად

სომხეთის სახელგამმა ამ დღეებში გამოაქვეყნა კონსტანტინე გამსახურდიას ტრილოგიის „ბელადის“ პირველი წიგნი.

თარგმანი ეკუთვნის სურენ ავჩიანს.

რაზე მუშაობენ ქართველი მწერლები

აკაკი გაწერელია ამთავრებს ისტორიული რომანის „შამილის“ მეორე ტომს. წიგნი შესდგება შემდეგი თავებისაგან 1. „ღუნიბი“, 2. „გზა“, 3. „პეტერბურგი“, 4. „კალუგა“, 5. „პატიმრის მოგონებანი“, 6. „სიკვდილი“.

პარალელურად ა. გაწერელია სწერს წიგნს „ჯოჯოხეთის ანდაზები“, სადაც ნაჩვენები იქნება თბილისის ინტელიგენციის ერთი ნაწილის ყოფა-ცხოვრება ომის წინა დღეებში და ომის დასაწყისში. ეს რომანი მოფიქრებულია როგორც „ოჯახური ქრონიკა“ ყოფითი გროტესკის სახით.

საბლიტგამს თავის საგამომცემლო გეგმაში შეტანილი აქვს ამავე ავტორის წიგნი „კავკასიური ნოველები“ (შინაარსი: პროზა: 1. „ჩირი-ურთი“, 2. „იმამი ლოჟაში“, 3. „ბოსკოს შეგირდი“. მოგზაურობანი: 1. „მოგზაურობა საჩაჩნოსა და დაღისტანში“ (1935), 2. „ღუნიბი“ (1932), 3. „ვსესვიატსკოე (1939), 4. „სახლი ხამოვნიკში“ (1939). ლიტერატურული პორტრეტები: 1. ივანე ჯავახიშვილი, 2. უკვდავი ველურობა, 3. ბოლოსიტყვა).

ა. გაწერელია ამზადებს აგრეთვე ვრცელ გამოკვლევას შემდეგ სათაურით: „ქართული კლასიკური ლექსი“ (მეტრი რიტმი, რითმა). წიგნი დაიბეჭდება საქ. მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობაში.

ლექსები მეგობრობასა და გმირობაზე

შალვა რადიანი

„საბჭოთა მწერლის“ მიერ ეხლახან გამოცემულ ხარიტონ ვარდოშვილის ლექსების კრებულში მოთავსებულ ნაწარმოებებს აქვთ არა მარტო საერთო—საზოგადოებრივი, აქტუალურ-საღღეისო მნიშვნელობა, არამედ ისინი განსაკუთრებულ ადგილს იჭერენ პოეტის შემოქმედებითი განვითარების ისტორიაშიც.

ხარიტონ ვარდოშვილის სალიტერატურო მოღვაწეობა თითქმის მთელს სამათეულ წელს ითვლის. თავდაპირველად მთავარი განწყობილება მისი პოეზიისა იყო სევდა, სკეპტიციზმი, მისტიციზმი. ამ ო�oდე წლის წინად გამოცემულ მისი ლექსების პირველი კრებული, რომელშიც ზოგი საინტერესო, მაღალ-პოეტური ლექსი იყო წარმოდგენილი, ძირითადათ განსაზღვრული იყო სწორედ ზემოთ აღნიშნული განწყობილებებით და მოტივებით. ამ მოტივებს პოეტი კარგა ხანს ზერჩა რევოლუციის შემდეგაც.

ეხლახან გამოცემული ლექსების პატარა კრებულით ხ. ვარდოშვილი გვაძლევს მძლავრი იდეური ძვრების, რევოლუციური განწყობილებების გამომხატველ ნაწარმოებთ. პოეტი ახალი თემებით და მოტივებით ეხმაურება თანამედროვე საბჭოთა ცხოვრებას. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემობა, რომ ხ. ვარდოშვილმა ჩვენს სინამდვილესთან დამაკავშირებელი ლექსები მიუძღვნა მეტწილად იმ გრანდიოზულ მოვლენებს, რომლებიც დაკავშირებულია საბჭოთა ხალხის სამამულო ომთან. წინამდებარე კრებულში მოთავსებული ნაწარმოებები გამოხატავს ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ხალხის გმირულ ბრძოლების ეპიზოდებს ვერაგი მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ხ. ვარდოშვილის ლექსების ღირსება მათ კონკრეტულობასა და სიუჟეტიურობაშია. პოეტი არ ლაპარაკობს მხოლოდ ლოზუნგებით, ზოგადი ფრაზებით, ყოველ მის ლექსს თან დაჰყვება ლირიკული სითბო და გულწრფელობა. სწორედ ამ თავისებურებით აღწევს ეს ლექსები მკითხველის გულამდე.

დიდი ადამიანური, გმირული განცდების გამომხატველია ბალადა „მეგობრები“ შუალამემდე გაგრძელდა მძაფრი ბრძოლა, შემდეგ მიხელდა გრგვინვა-გუგუნები და ჩაწვა გრიგალი თოვლიან ხევში სიკვდილმა წუთით იჯერა გული და ჩაეძინა სისხლის მორევში“. „შურისძიების წმინდა გრძნობით გამსჭვალული ვაჟკაცი გადურჩა სიკვდილს, მაგრამ მას „ცეცხლის ალმური ძარღვებში უვლის, სისხლი უბორგავს ბოღმით და შხამით“. იგი ხედავს, რომ მის გვერდით მკერდგანგმირული გდია საყვარელი მეგობრის გვამი. ეს მებრძოლი მან გაიცნო ბრძოლის ველზე და მათ შეუყვარდათ ერთმანეთი:

იბრძოდნენ ერთად, ივლეს ბევრი
ცეცხლის გრიგალი დაუცხრომელი,
და არა ერთი განგმირეს მტერი
ჩვენნ სამშობლოს წარღვნის მდომელი.
ეხლა მის გვერდით, განაწვალები,
გდია ვაჟკაცი, სახეჩამქრალი,
და ეუბნება თითქოს თვალებით:
— იძიე შური, დუშმანს დაჰკარი!

ამ სიტყვებმა რისხვით აღავსეს მეგობრის გული, კვლავ გაჩაღდა ბრძოლა. შურისძიების გრძნობით გამსჭვალული ვაჟკაცი დაუნდობლად ანადგურებდა მტრის ურდოებს, ერთი იბრძოდა ათის წინააღმდეგ. „მამულისათვის“—ჰყვიროდა გმირი, მუსრავდა დუშმანს, ვით გოლიათი, ბევრს შეუღება სისხლით პერანგი და დაუბნელა სხივი დილისა:

მან შეასრულა პირობა ძმური,
მტერს არ შეუდრეკა გმირი მგზნებარე.
მეგობრისათვის იძია შური
და ასახელა მშობელი მხარე.

მეგობრისათვის შურისძიება, მეგობრისათვის თავის დადება საბჭოთა მებრძოლის დამახასიათებელი თვისებაა. ამ გრძნობით გამსჭვალული ჩვენი ვაჟკაცები მტკიცედ ი